## ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცხადებელი კონკურსის პირობები

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნობრივი პროგრამების სამსახური

აცხადებს ქართული ენის დისტანციური სწავლების მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსს

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნობრივი პროგრამების სამსახური აცხადებს ქართული ენის დისტანციური სწავლების მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსს „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის" ფარგლებში

ვაკანსიების რაოდენობა: 20

| | |
|---|---|
| **თანამდებობის /პოზიციის დასახელება** | ქართული ენის დისტანციური სწავლების მასწავლებელი |
| **კატეგორია** | ☐ საშტატო<br>■ შტატგარეშე |
| **ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო** (ხელფასი) | 200 (8 დისტანციური გაკვეთილი) |
| **დაფინანსების წყარო** (აპარატი ან პროგრამული დაფინანსება) | **„არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა"** |

| | |
|---|---|
| **ხელშეკრულების ხანგრძლივობა**<br>(ხელშეკრულების დაწყებისა და დასრულების თარიღი | 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით |
| **გამოსაცდელი ვადა**<br>(ასეთის არსებობის შემთხვევაში) | |
| **უშუალო ხელმძღვანელი**<br>მიუთითეთ თანამდებობა | „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ მენეჯერი |
| **დაქვემდებარებული პირები** | |
| **თანამდებობის დანიშნულება / მიზანი**<br>თანამდებობრივი მოვალეობების ზოგადი აღწერა | |
| **სამუშაო აღწერა**<br>(ძირითადი მოვალეობები) | 1. „ქართული ენის დისტანციური სწავლების“ ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული ვირტუალური საკლასო ოთახის გაცნობა და დაუფლება<br>2. დისტანციური გაკვეთილისთვის სასწავლო რესურსების შექმნა<br>3. დისტანციური გაკვეთილების დაგეგმვა<br>4. დისტანციური გაკვეთილების ჩატარება |
| ***საკვალიფიკაციო მოთხოვნები*** | |

| | |
|---|---|
| **მინიმალური განათლება**<br>მიუთითეთ განათლების ხარისხი და სპეციალობა, რომელიც აუცილებელია თანამდებობრივი მოვალეობის შესასრულებლად | • **სავალდებულო:**<br><br>კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება ქართულ ფილოლოგიაში. |
| **სამუშაო გამოცდილება**<br>მიუთითეთ რამდენხნიანი და რა სახის სამუშაო გამოცდილება შეესაბამება თანამდებობას | • **უპირატესობა მიენიჭებათ პირებს, რომლებსაც აქვთ:**<br>ქართულის, როგორც მშობლიურის ან ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში |
| **ცოდნა/კომპეტენცია**<br>მიუთითეთ რა კომპეტენციებია საჭირო ამ თანამდებობრივი მოვალეობების შესასრულებლად (მაგ.: ორგანიზაციის მართვის, დაგეგმარების, მონიტორინგის, ანალიტიკური, კომპიუტერული ცოდნა და ა.შ.) | - სწავლების თანამედროვე მიდგომების ცოდნა;<br>- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;<br>- ანალიტიკური აზროვნების უნარი;<br>- საქმიანობის ორგანიზების უნარი;<br>- თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის უნარი;<br>- საოფისე კომპიუტერული პროგრამების მოხმარებისა და ინტერნეტით სარგებლობის უნარი. |
| **სამართლებრივი აქტების ცოდნა** | |
| **ენების ცოდნა**<br>მიუთითეთ რომელი ენის ცოდნას და რა დონეზე მოითხოვს ეს თანამდებობა | |

| | |
|---|---|
| კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები | საოფისე კომპიუტერული პროგრამები: Word, Excel, PowerPoint, Internet;<br>ვიდეო ფაილებთან და ონლაინ ინსტრუმენტებთან მუშაობის გამოცდილება |
| დამატებითი მოთხოვნები | ქართული ენისა და ლიტერატურის (I-VI/VII–XII) ან ქართულის, როგორც მეორე ენის საგნობრივი გამოცდის წარმატებით ჩაბარება. |
| დამატებითი ინფორმაცია | **განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 12 მაისი;<br><br>** კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:<br>**პირველი ეტაპი:** დაინტერესებულმა კონკურსანტმა უნდა მოამზადოს თანამედროვე ელექტრონული სწავლა-სწავლების პედაგოგიკის პრინციპებზე დაფუძნებული ქართული ენის A1 დონის დისტანციური გაკვეთილის კონცეფცია (ნარატივის სახით, არაუმეტეს 2-3 გვერდისა). კონკურსანტი ვალდებულია დისტანციური გაკვეთილის კონცეფცია, დეტალური ავტობიოგრაფია (CV), უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა გამოაგზავნოს ელექტრონულ მისამართზე info@tpdc.ge (**წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება)**<br><br>**მეორე ეტაპი:** საკონკურსო კომისიის მიერ გადარჩეული განაცხადების ავტორები წარსდგებიან გასაუბრებაზე საპრეზენტაციო (Power Point ან სხვა) ფორმატში მომზადებული კონკრეტული გაკვეთილის სცენარით. |

| | |
|---|---|
| | **მესამე ეტაპი:** დისტანციური სწავლების მიმართულებით შეთავაზებული ტრენინგების საფუძველზე.<br><br>კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით |